სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 510

(ოქმი № 445)

თბილისი 2021 წლის 28 მაისი

ა/წ 29 აპრილს, თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს სააპელაციო საჩივრით მიმართა ფიზიკურმა პირმა მარიამ მელქაძემ, რითაც მოითხოვა სამეურვეო საბჭომ შეისწავლოს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 08.04.2021წ. გადაწყვეტილება, თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის 08.04.2021წ. დასკვნა, მ. მელქაძის 22.03.2021წ. საჩივარი, დაადგინოს "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" შესაბამისი მუხლების დარღვევა და დააკმაყოფილოს სააპელაციო საჩივარი.

სამეურვეო საბჭომ საკითხი განიხილა 2021 წლის 28 მაისის სხდომაზე, რომელიც ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში. სამეურვეო საბჭოს წევრების გარდა, სხდომაში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის იურისტები, ასევე, მარიამ მელქაძე და ირმა ჭკადუა.

სამეურვეო საბჭომ სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით შეისწავლა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, სამეურვეო საბჭო ადგენს, რომ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მხრიდან ადგილი არ ჰქონია სააპელაციო საჩივარში აღნიშნული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" შესაბამისი მუხლების დარღვევას და ამდენად, სრულად ეთანხმება თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის 08.04.2021წ. დასკვნას და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 08.04.2021წ. გადაწყვეტილებას, რომლებიც დასაბუთებულია და არ არსებობს მათი გაუქმების/შეცვლის საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 12.03.2009წ. №2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

1. ფიზიკური პირის მარიამ მელქაძის 29.04.2021წ. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს და ძალაში დარჩეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს/კომისიის 08.04.2021წ. დასკვნა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 08.04.2021წ. გადაწყვეტილება.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა და სასამართლოში ან/და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში არ საჩივრდება.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

ირაკლი პაპავა

იზაბელა ოსიპოვა

გრიგოლ მურღულია

ზაზა აბაშიძე

ბონდო მძინარაშვილი

გიორგი ნიჟარაძე